

## **ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით და ეხმარება უნივერსიტეტს სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტის განვითარებისთვის საჭირო დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ციკლური პროცესის სახით, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Reviewing and Improving - PIRI).

### **თავი I.**

## **აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია**

### **1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი**

1.1. საბაკალავრო (დამატებითი), სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

- ა) პროგრამის სახელწოდება (ქართულად);
- ბ) პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი;
- გ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);
- დ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
- ე) სწავლების ენა;
- ვ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ( რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს სტუდენტის მიერ კომპეტენციების გამომუშავების მექანიზმი და დასაქმების სფერო). პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, იყოს დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული და მიღწევადი; (დასაქმების სფეროს განსაზღვრისას რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად).
- ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - განსაზღვრულ უნდა იქნეს პროგრამაზე ჩარიცხვის/დაშვების კონკრეტული წინაპირობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება გამჭვირვალობა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;

თ) სწავლის შედეგი - განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები აღიწერება ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად;

ი) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები - უნდა აღიწეროს სწავლების რა მეთოდები იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

კ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა - უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და ასევე კონკრეტული პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს, რაც დეტალურად უნდა აღიწეროს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში);

ლ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა) - სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტის მინიჭება. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება: ა) სახელწოდება; ბ) მოცულობა კრედიტებით; გ) სტუდენტის დატვირთვის სახეები (საკონტაქტო - ლექცია/პრაქტიკუმი/ჯგუფში მუშაობა/სემინარი/ლაბორატორიული/პრაქტიკა და სხვ., შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის განკუთვნილი დრო და დამოუკიდებელი მუშაობა) გათვლილი ასტრონომიულ საათებში; დ) სწავლების სემესტრი; ე) კომპონენტზე დაშვების წინაპირობების მატრიცა; სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუქა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით განსაზღვრულ კომპეტენციებთან (საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ);

მ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

ნ) დამატებითი ინფორმაციის სახით სასურველია მიეთითოს, სტუდენტთა რა რაოდენობის მომსახურება შეუძლია პროგრამას.

## 1.2. საგანმანათლებლო პროგრამებს უნდა ახლდეს:

ა) სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);

ბ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, ხარისხი), ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით, რომელიც უნდა მოიცავდეს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალს და განხორციელებულ აკადემიურ აქტივობებს;

გ) პროგრამის განხილვა-დამტკიცების აქტები სხვადასხვა საფეხურზე (დეპარტამენტის, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები).

დ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დადასტურება, რომ ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, ფიქსირდება ბეჭდური ფორმით, ან ამ ლიტერატურასთან წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებით.

ე) პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვისა და პროგრამის კურსდამთავრებულებზე ბაზრის მოთხოვნის ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

## 2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

- 2.1. პროგრამის შემმუშავებელი პირი/პირები, სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია პროგრამას შეურჩიოს სახელწოდება; დასაშვებია პროგრამის სახელწოდება არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მაგრამ უნდა ასახავდეს პროგრამის შინაარსობრივ მხარეს და არ იწვევდეს დაინტერესებულ პირთა შეცდომაში შეყვანას.
- 2.2. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.
- 2.3. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით.
- 2.4. მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.
- 2.5. სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.
- 2.6. მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „დოქტორი“, მიმართულების ან/და დარგის სპეციალობის მითითებით.
- 2.7. მასწავლებლის მომზადების მინიმუმ ერთწლიანი, 60-კრედიტიანი პროგრამა შეიძლება განხორციელდეს როგორც ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში, ასევე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლად. კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.

## 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

- 3.1. ბაკალავრიატის სწავლების საფეხური მოიცავს 240 კრედიტს.
- 3.2. ძირითად მაპროფილებელ სპეციალობას, რომელშიც ენიჭება სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, უნდა დაეთმოს მინიმუმ 120 კრედიტი.
- 3.3. საბაკალავრო საფეხურზე სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე სხვა ფაკულტეტებზე. რეგულირებადი პროფესიის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შესაძლებელია დადგინდეს სპეციალური შეზღუდვები.
- 3.4. დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი. დამატებითი სპეციალობა უნდა მოიცავდეს 60 კრედიტს. მიღწეული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები აისახება დიპლომის დანართში. დამატებითი სპეციალობის (არსებობის შემთხვევაში!) შესახებ შესაბამისი ჩანაწერი აისახება დიპლომში.
- 3.5. დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს შესაბამისად 360/300 კრედიტს.
- 3.6. სამაგისტრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 120 კრედიტის ოდენობით.
- 3.7. სამაგისტრო ნაშრომის წილი შესაძლოა იყოს 20-30 კრედიტი.
- 3.8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს;
- 3.9. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტისაგან (60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტისაგან (120 კრედიტი).

3.10. პროგრამაში მითითებული უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა.

3.11. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების და კრედიტების განაწილება უნდა მოხდეს დარგობრივი სტანდარტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში).

#### **4. სწავლების ენა**

4.1. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე.

4.2. პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების ენა, პროგრამის შესაბამისად.

4.3. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

4.4. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება ქართულენოვან ანალოგთან ერთად ალტერნატივის სახით. მისი გავლის წინაპირობას წარმოადგენს უცხოური ენის შესაბამის დონეზე ფლობის დადასტურება.

#### **5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

5.1. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

5.2. უმაღლესი განათლების I საფეხურზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს აბიტურიენტს სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის. უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3 უმაღლესი განათლების II საფეხურზე, მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.

5.3. უმაღლესი განათლების III საფეხურზე, დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობაში და უცხო ენაში. B2 დონის საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტი თავისუფლდება უცხო ენის ჩაბარების ვალდებულებისაგან.

5.5. დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც განისაზღვრება კონკრეტული პროგრამით ან სპეციალური (დამატებითი) საფაკულტეტო რეგულაციებით.

#### **6. სწავლის შედეგი**

6.1. სწავლის შედეგი უნდა ასახავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.

6.2. სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

6.3. სილაბუსში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი კომპონენტი.

6.4. პროგრამაში უნდა მიეთითოს ინფორმაცია დასაქმების სფეროებზე.

6.5. I და II საფეხურის პროგრამებში უნდა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე.

## 7. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

## 8. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

8.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის 8.6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

8.2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე - შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებებს;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

8.3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

8.4. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მისი ხვედრითი წილი 40 ქულაა.

8.5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა.

სტუდენტის დასკვნით გაცემულ გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის თვითნებურად დატოვება;

ბ) 15ქულაზე ნაკლების მიღება

გ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით;

დ) გამოცდაზე საუბრის, ხმაურის, სხვა სტუდენტისთვის ხელის შეშლის, ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენების შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება „ნული“.

დასკვნითი ან შუალედური გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების(საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით) ან ავადმყოფობის შესახებ ცნობის წარმოდგენის საფუძველზე. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაცია.

8.6. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.

8.7. ამ მუხლის 8.6. პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8.8.. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

8.8.1. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით ამ დაწესებულების მიერ განსაზღვრული ერთიანი საგამოცდო ცენტრის მეშვეობით. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ჩაატაროს განსხვავებული ფორმით.

8.9. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის შესაძლებელია შეფასების შემდეგი სისტემის გამოყენება:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

8.10. ამ მუხლის 8.9 პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

8.11. ამ მუხლის 8.9 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

8.12. ამ მუხლის 8.9 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

## 9. სასწავლო გეგმა

9.1. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომლებშიც ხდება კრედიტების მინიჭება.

9.2. კომპონენტის მითითებისას უნდა აღინიშნოს: სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, სტუდენტის დატვირთვის სახეები (ასტრონომიულ საათებში), სწავლების სემესტრი.

9.3. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.

9.4. სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.

## 10. სილაბუსი

სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:

- 10.1. სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება;
- 10.2. ავტორი, ლექტორი/ლექტორები, რომლებიც უძღვებიან სასწავლო კურსის ლექციასა და სამუშაო ჯგუფის მუშაობას, მათი საკონტაქტო ინფორმაცია;
- 10.3. სასწავლო კურსის კოდი;
- 10.4. სწავლების სემესტრი;
- 10.5. სასწავლო კურსის/მოდულის ტიპი (სავალდებულოა თუ არჩევითი);
- 10.6. კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
- 10.7. ფაკულტეტისა და პროგრამის სახელწოდება;
- 10.8. სასწავლო კურსის განმახორციელებლები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- 10.9. დაშვების წინაპირობები;
- 10.10. სასწავლო კურსის ფორმატი;
- 10.11. სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები;
- 10.12. სწავლების/სწავლის მეთოდები;
- 10.13. სწავლის შედეგები;
- 10.14. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები;
- 10.15. სასწავლო კურსის შინაარსი;
- 10.16. ძირითადი ლიტერატურა;
- 10.17. დამხმარე ლიტერატურა;
- 10.18. სხვა სასწავლო მასალა;

(სილაბუსის ფორმა მტკიცდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით)

## 11. ადამიანური რესურსი

11.1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული სპეციალისტი.

11.2. პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა ასლები უნდა ინახებოდეს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.

11.3. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც

შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

## **12. პროგრამის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელები**

12.1. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ემერეტუსი; განსაკუთრებულ შემთხვევებში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამას შეიძლება ჰყავდეს რამოდენიმე ხელმძღვანელი თუკი პროგრამა არის დარგთაშორისი (ინტერდისციპლინარული), ან პროგრამას გააჩნია სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების მოდულები.

12.2. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა.

12.3. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე და სილაბუსების ხარისხზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პასუხისმგებელია მის მიერ წაკითხული აკადემიური კურსის სილაბუსის ხარისხზე.

12.4. პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

12.5. პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: კოორდინირება გაუწიოს სტუდენტებისათვის კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

12.6. სწავლების ერთ საფეხურზე (საბაკალავრო (დამატებითი), სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის) ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას.

## **13. უცხოენოვანი პროგრამები**

უცხოენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროგრამას უნდა დაერთოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.

## **14. ერთობლივი პროგრამები**

პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და აწესდეს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესით.

## **15. პროგრამაში ცვლილების შეტანა**

პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.



## თავი II.

### აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა

#### 16. პროგრამის განხილვა

წინამდებარე თავის მოთხოვნათა დაცვით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შემუშავებულია დაინტერესებული პირების (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვ.) ჩართულობით, რაც დასტურდება შესაბამისი კითხვარებით, ოქმებით/მიმოწერით/ან სხვა დოკუმენტებით, თავდაპირველად განიხილება დეპარტამენტის სხდომაზე, პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. გადაწყვეტილება პროგრამის შემდგომ ეტაპზე წარდგენის შესახებ ფორმდება ოქმის სახით.

#### 17. პროგრამის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო ამ პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

#### 18. ფაკულტეტის საბჭოს თანხმობა

ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და, თანხმობის შემთხვევაში, გადაუგზავნის მას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე წარსადგენად.

#### 19. პროგრამის დამტკიცება

პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

## თავი III.

### 20 აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესი ეფუძნება უნივერსიტეტის ფარგლებში რეგულარულად მიმდინარე შიდა შეფასებას, რომელიც ხორციელდება საგანმანათლებლო სფეროში არსებული სტანდარტებისა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ასეთი ტიპის შეფასება არის ძირითადი საშუალება, რომელიც წარმოაჩენს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

**20.1 პროგრამის შეფასება ხელმძღვანელის მიერ:** პროგრამის ხელმძღვანელი ყოველწლიურად აკეთებს თვითშეფასების ანგარიშს, სადაც აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივ მდგომარეობას და აფიქსირებს პროგრამის შიდა და გარე შემფასებლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს; რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღწერს ობიექტურ ხელისშემშლელ პირობებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირების შემდეგ თვითშეფასების ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის

საბჭოს, რის შემდეგ გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**20.2 პროგრამის შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ:**  
შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვას;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- პროგრამის განხორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა.
- შიდა შეფასების ანგარიშები.

გამოკითხვებსა და სტუდენტთა შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გამოკითხვები ტარდება ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, დადგენილი წესით, ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.

ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.

**20.3** უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი დარგის გარე ექსპერტები საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

**20.4** საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება ხორციელდება ყოველწლიურად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში დგინდება შემოწმების სხვა ინტენსივობა.

#### თავი IV.

### 21. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა

21.1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ემყარება რეგულარული მსჯელობისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რომელიც აისახება პერიოდულ ანგარიშებში. ანგარიშებში ფიქსირდება საგანმანათლებლო პროგრამის გასაუმჯობესებელი სფეროები და განხორციელების გზები.

21.2 გაუმჯობესების პროცესი ძირითადად მოიცავს უნივერსიტეტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრულ მიმდინარე ან დაგეგმილ ქმედებებს, როგორც შემდგომი დაგეგმვის ციკლის ნაწილს. ქმედებათა ეფექტიანობა მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

21.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს შეხვედრებს, ტრენინგებს - სწავლა /სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.